პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 196 (3173)

8 ოქტომბერი, შაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი




# III პლენუმმა დაამთავრა მუშაობა

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს III პლენუმმა, რომლის დღის წესრიგში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ. სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ი. მაშინის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ფილიპოვმა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ს. ტრიფონოვმა, რსფსრ-ს განათლების მინისტრის მოადგილემ ლ. პეტროვამ, სომხეთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ჟ. ასატურიანმა, ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის რექტორმა ი. ნიკიფოროვმა და სხვებმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. სტეპანოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. რომანოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. კამშალოვი, საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი ი. გაგარინი და სხვ.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს განცხადება ამერიკელთა აგრესიის თაობაზე ვიეტნამში. განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

* * *

პლენუმმა განიხილა აგრეთვე, საორგანიზაციო საკითხები. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ხასიათის შეცვლასთან დაკავშირებით, ა. კამშალოვი განთავისუფლებულია სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ბიუროსა და პრეზიდიუმის წევრობის თანამდებობიდან. თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია, ბიუროსა და პრეზიდიუმში შეყვანილია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჩესნავიჩუსი. საკავშირო სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ბიუროს, პრეზიდიუმის წევრად არჩეულია კ. ჟაროვი.

# ალმა-ათის კორტებზე

უკვე მეორე კვირაა, რაც ალმა-ათაში გრძელდება სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი. ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან უმრავლესობა კარგად გამოდის და მოსალოდნელია, რომ ისინი თბილისში მედლების ნადავლით დაბრუნდებიან.

ქალთა ერთეულებში მარჯვედ სცემენ ჩოგანს თბილისელები ივანოვა და აბჟანდაძე. ივანოვამ თავდაპირველად მოუგო კრეეს (6:4, 6:1), მერვედფინალში „იმსხვერპლა" პრეობრაჟენსკაია (8:6, 6:1), მეოთხედფინალში კი მან სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი — კივი დაამარცხა (6:2, 6:4). აბჟანდაძემ ასეთივე თანმიმდევრობით მოუგო შეხვედრები მეტოქეებს: პროკოფიევას (6:4, 7:5), ჩალკოს (6:0, 4:6, 6:0) და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონს — დმიტრიევას (7:5, 6:4). თბილისელი ერმოლოვას შედეგები ასეთია: მან გაიმარჯვა ერემეევასთან (6:4, 6:3), მერვედფინალში — კულთან (6:1, 6:2), ხოლო მეოთხედფინალში დამარცხდა ბაკშეევასთან (4:6, 0:6). ერმოლოვა ახლა V-VIII ადგილებისთვის იბრძოლებს. მგალობლიშვილმა ამ ასპარეზობაში ერთი შეხვედრა მოიგო (საზონოვასთან — 6:3, 6:4), ხოლო ერთი წააგო (დმიტრიევასთან — 2:6, 0:6). ასეთსავე პირობებშია თუხარელი, რომელმაც გაიმარჯვა ბლაგირევასთან (6:3, 6:3) შეხვედრაში, ხოლო დამარცხდა დმიტრიევასთან ასპარეზობისას (2:6, 6:8).

ვაჟთა ერთეულებში ჩვენი რესპუბლიკიდან დაუმარცხებლად წინ მიიწევს მეტრეველი. მან ნახევარფინალში გასვლამდე დაამარცხა თბილისელი შავლისი (6:1, 6:2, 6:2), შემდეგ შაპირო (6:3, 6:3, 9:7), მერვედფინალში — სიმსონი (6:2, 1:6, 6:1, 8:6), ხოლო მეოთხედფინალში — ივანოვი (3:6, 6:3, 3:6, 7:5, 6:1). კაკულიამ ჯერ დიბცევი „იმსხვერპლა" (6:0, 6:0, 6:1), შემდეგ პარმასი (6:0, 6:2, 7:5) და იუხველტი (4:6, 7:5, 2:6, 6:1, 9:7). კაკულიასა და იუხველტის ასპარეზობას სპეციალისტები დიდ შეფასებას აძლევენ. ისინი შენიშნავენ, კაკულიამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ იგი გადამწყვეტ მომენტებში მეტოქეზე გაბედულად და ზუსტად მოქმედებდაო. ლიხაჩოვთან მეოთხედფინალურ ბრძოლაში კაკულიას არ გაუმართლა და წააგო (8:10, 1:6, 1:6). კაკულია განაგრძობს ბრძოლას V-VIII ადგილებისთვის. დანარჩენი თბილისელები — ვერულავა (წააგო კოროტკოვთან 5:7, 2:6, 1:6), პერეგუდოვი (მოიგო კაპლანთან 2:6, 6:0, 6:3, 6:3 და წააგო ბეკუნოვთან 4:6, 1:6, 2:6) და აბაშკინი (გაიმარჯვა რეილესთან 6:3, 6:3, 5:7, 6:4 და დამარცხდა ვ. ეგოროვთან 1:6, 6:4, 4:6, 4:6) — საუკეთესოთა ათეულში ვერ მოხვდნენ.

ქალთა წყვილების თანრიგში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიან თუხარელი, აბჟანდაძე, ივანოვა, ერმოლოვა და მგალობლიშვილი. თუხარელი გამოდის ჩუვირინასთან ერთად. ამ დუეტმა პირველი ორი შეხვედრა მოიგო — ტიტოვა—იარემკევიჩთან (4:6, 6:3, 6:3) და ლიმაკინა—პროკოფიევასთან (6:3, 2:6, 6:2), მაგრამ კულ—კივის წყვილთან მარცხი განიცადა (6:3, 2:6, 6:8). აბჟანდაძის თანამეწყვილეა სიმსონი. მათ პირველ შეხვედრაში დაამარცხეს პოტანინა და ისკაკოვა (6:2, 8:10, 6:4), მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ ჩალკოსთან და მოროზოვასთან (7:5, 2:6, 1:6). ივანოვამ და ერმოლოვამ გაიმარჯვეს გალიამუტდინოვა—მგალობლიშვილის წყვილთან ბრძოლაში (6:3, 6:1). მომდევნო შეხვედრა მათ მოუწიათ ისლანოვასა და საზონოვასთან, რომელიც მათი ახალი გამარჯვებით დამთავრდა (6:4, 5:7, 6:4). ამას მოჰყვა ნახევარფინალური შეხვედრის მოგება კივისთან და კულთან (6:4, 6:0). ამრიგად, ივანოვა და ერმოლოვა ფინალში გავიდნენ.

ვაჟთა წყვილების ასპარეზობის პირველსავე წრეში თბილისელთა 2 წყვილი დამარცხდა: ვერულავა და შავლისი — მინაიჩევ-რუბანოვთან (4:6, 8:6, 6:8), ხოლო პერეგუდოვი და აბაშკინი ვასილიევ—დუტოვთან (5:7, 2:6) შეხვედრებში. მეტრეველმა და კაკულიამ ჯერ დაამარცხეს ევინგ-ეპიკის წყვილი (6:1, 6:2), შემდეგ კი ლამპი და იუხველტი (6:4, 6:0, 3:6, 6:3), მაგრამ ნახევარფინალში წააგეს შეხვედრა ლეიუს—ლიხაჩოვის წყვილთან (3:6, 6:4, 10:12, 4:6) და ახლა III-IV ადგილებისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

და ბოლოს, შერეულ წყვილთა შესახებ. მოგვყავს I წრის შედეგები: დმიტრიევა, მეტრეველი — ბლაგირევა, დიბცევი (6:3, 6:2), ივანოვა, ხოხლოვი — პერმინოვა, შეინი (ამ უკანასკნელებმა ასპარეზობაში გამოსვლაზე უარი თქვეს), იანსონე, ლიხაჩევი — ერმოლოვა, კაკულია (6:4, 6:4), ლიმაკინა, სლავინსკი — მგალობლიშვილი, ვერულავა (6:2, 7:5).

• • •

## გუშინ

გამოვლინდნენ ფინალისტები ყველა თანრიგში. ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან: ქალთა შორის — აბჟანდაძე და ბაკშეევა, ვაჟთა შორის — მეტრეველი და ეგოროვი, ვაჟთა წყვილში — ეგოროვ-კოროტკოვი ლეიუს-ლიხაჩოვი, ქალთა წყვილში — ივანოვა-ერმოლოვა და ბაკშეევა-დმიტრიევა, შერეულ წყვილში — მეტრეველი-დმიტრიევა და ლეიუს-ბაკშეევა.

# ვ. სალუქვაძის რეკორდი და „ოქრო"

კიევი, 7 ოქტომბერი (ტელეფონით). ერთი თვის წინათ აქ გამართულ საბჭოთა არმიის ტყვიის მსროლელთა ტურნირში თბილისელმა ვ. სალუქვაძემ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან მრგვალ სამიზნეებზე 60 გასროლაში 570 ქულა მოაგროვა. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია და 4 ქულით აღემატება მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდს. ამის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით, დავუმატებთ, რომ სალუქვაძემ (მწვრთნელი პ. ლეკიშვილი) ახლაც ისახელა თავი. აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში ამავე ვარჯიშში მან თანაგუნდელებთან სტოლიპინთან, აკულოვთან და პოდუბნისთან ერთად 2257 ქულა მოაგროვა, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. პირადი პირველობა მოიგო ა. პოდუბნიმ — 568 ქულა.

„ტახზე" სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა საერთაშორისო სპორტის ოსტატი, რიგელი ა. ბუცისი („დინამო") — 349 ქულა.

* * *

სურათზე: ვ. სალუქვაძე.

# გუშინ...

## „ტორპედო" — ფინალისტი

ლენინგრადი, 7 ოქტომბერი. დღეს აქ შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. ითამაშეს მოსკოვის „ტორპედოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელთა გუნდებმა. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა— 3:0 (1:0). ბურთები გაიტანეს: ბრედნევმა და სტრელცოვმა (2).

ამრიგად, თასის პირველი ფინალისტია „ტორპედო".

# ყოჩაღ, იური დიაჩკოვ!

ლენინაკანი, 7 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა სსრ კავშირის ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მძლეოსანთა ოლიმპიური გუნდების ტურნირი, სადაც რამდენიმე სახეობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობაც გათამაშდა. როგორც ვიტყობინებოდით, ათჭიდში 3 სახეობის შემდეგ ლიდერობდა კრასნოდარელი ათლეტი ვ. მიხაილჩენკო („დინამო"), რომელსაც 2529 ქულა ჰქონდა მოგროვილი და 6 ქულით ასწრებდა სსრ კავშირის ჩემპიონს, თბილისელ სპორტის ოსტატს ი. დიაჩკოვს. მაგრამ შემდეგმა ბრძოლებმა ცხადყო, რომ თბილისელი ათლეტი, რომელსაც მამამისი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი ავარჯიშებს, შესანიშნავად ყოფილა მომზადებული. პირველ დღეს სიგრძეზე ხტომაში მან 760 სანტიმეტრი აჩვენა, რაც სპორტის ოსტატის ნორმაზე უკეთესი შედეგი და სპორტსმენის პირადი რეკორდია.

ტურნირის მეორე დღეს იურიმ ჭოკით 470 სანტიმეტრი გადალახა, კიდევ გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას და 12 სანტიმეტრით გააუმჯობესა საქართველოს რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. 110 მეტრზე თარჯირბენში კი დიაჩკოვმა ოსტატობის კანდიდატის ნორმა აჩვენა — 14,8. საბოლოოდ, თბილისელმა ოსტატმა 7836 ქულა მოაგროვა, საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და მეორედ დაისაკუთრა ჩემპიონის ოქროს მედალი.

ათჭიდში დიაჩკოვის მაჩვენებელი 280 ქულით ჯობია საქართველოს ძველ რეკორდს, რომელიც მანვე ორნახევარი წლის წინათ კიშინიოვში გამართულ მატჩში დაამყარა. თუ რამდენად კარგ სპორტულ ფორმაშია ჩემპიონი, ამას ადასტურებს მისი და ბუდაპეშტში გამართულ ევროპის VIII ჩემპიონატში გამარჯვებულის ვ. ფონ მოლტკეს (გფრ) მაჩვენებელთა შედარება. ევროპის ჩემპიონს გამარჯვებისთვის 7740 ქულა ეყო. მისი შედეგები ცალკეულ სახეობებში ასეთი იყო: 100 მეტრზე რბენაში — 11,0 (დიაჩკოვისა—11,1); სიგრძეზე ხტომაში — 718 (760), ბირთვის კვრაში — 15,55 (15,22); სიმაღლეზე ხტომაში — 185 (190); 400 მეტრზე რბენაში — 50,1 (50,4); 110 მ თარჯირბენში — 15,1 (14,8); ბადროს ტყორცნაში — 45,74 (43,38); ჭოკით ხტომაში — 420 (470); შუბის ტყორცნაში — 62,96 (52,62); 1.500 მეტრზე რბენაში — 4.53,6 (4.46,6).

როგორც ვხედავთ, იურის ასევე წარმატებით შეეძლო ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის დასაკუთრებაც.

ლენინაკანში II და III ადგილებიც დინამოელმა ათჭიდელებმა დაისაკუთრეს: კიეველმა მ. სტოროჟენკომ 7544 ქულა მოაგროვა, ხოლო კრასნოდარელმა ვ. მიხაილჩენკომ — 7525 ქულა.

საინტერესო იყო ხუთჭიდელთა ტურნირი. პირველ დღეს დაწინაურებულმა ლენინგრადელმა ო. კარდაშმა მეორე დღეს ხელიდან გაუშვა ინიციატივა და საბოლოოდ IV ადგილით დაკმაყოფილდა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ანგარსკელი ათლეტი ნ. ჩალოვა (პროფკავშირები). ორდღიან ბრძოლაში მან 4585 ქულა მოაგროვა (11,9; 11,94; 155; 600, 24,8) და მხოლოდ 10 ქულით აჯობა თანაგუნდელ გ. სოფინას (მოსკოვის ოლქი). ისე როგორც ვაჟთა მრავალჭიდში, აქაც ბრინჯაო კრასნოდარის დინამოელმა დაისაკუთრა — ვ. კუდრიავცევამ 4537 ქულა აჩვენა.

ამით დამთავრდა სეზონის კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება მძლეოსნობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ოლიმპიურმა ნაკრებმა — 832 ქულა. მეორე იყო პროფკავშირთა I გუნდი — 721,3, III — „დინამო" — 655,5 ქულა.

თ. მაჩაბელი,
ა. სტეპანოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯები.

• • •

სურათზე: ი. დიაჩკოვი (წინა პლანზე) 110 მ თარჯირბენის დროს.



# ახალი ნადავლი

იალტაში დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს პირველობა კლდეზე ცოცვაში. ტურნირში შესანიშნავად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მ. ხერგიანი („კოლმეურნე"), რომელმაც ვაჟთა ასპარეზობაში ყველაზე, კარგი შედეგი აჩვენა და თავის მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა.

### საიუბილეო სპარტაკიადებს—ღირსეული შეხვედრა!

# „ლელოფალი" საჭიროებს თაყვანისმცემლებსა და მკურნალს

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში როცა მძლეოსანთა რიცხვი დამისახელეს, კმაყოფილებით გამეღიმა. 228 ათლეტი. ამდენი სპორტსმენი ხშირად საქალაქო ასპარეზობაზე არ გროვდება. ვიფიქრე, აი სად დგას სათანადო დონეზე მძლეოსნობა, სპორტის ამ სახეობის პროპაგანდა. ალბათ სექციებიც რეგულარულად მუშაობენ-მეთქი.

მაგრამ სინამდვილის ახლო გაცნობამ სულ სხვა სურათი დაგვიხატა. მოვუსმინოთ ფიზორგებს:

მ. ლალიანი (საგრეხი საამქრო): „ჩვენთან 800 კაცი მუშაობს, მათგან 150 ფიზკულტურელია, მძლეოსნობაში კი მხოლოდ 18 კაცია ჩაბმული".

ს. ბრიუხანოვი (მთავარი ენერგეტიკის განყოფილება): „შარშან ჩვენი მძლეოსნები იყვნენ კომბინატის ჩემპიონები, პირველობა მოიგეს შეჯიბრებაში მასობრივად გამოსვლით".

ფიზორგებთან შემდგომმა საუბარმა კი დაგვარწმუნა, რომ მ. ლალიანი თავის მძლეოსნებს არც კი იცნობს. იგი იმაშიც არაა დარწმუნებული, რეგულარულად მუშაობს თუ არა სექცია (სინამდვილეში საამქროში მძლეოსნური სექცია უმოქმედოდაა). ს. ბრიუხანოვმა კი განყოფილებაში მხოლოდ 4 მძლეოსანი დაასახელა: თავის თავი, სიმაღლეზე მხტომელი, ელექტრომონტიორი ა. კარიაგინი, მორბენალი, მეთუნუქე ვ. კოკარევი და „მეშუბე" (მან ასე უწოდა შუბის მტყორცნელს) ნ. ლობჟანიძე, რომელიც ცენტრალურ სექციაში მეცადინეობს.

დაახლოებით ასეთივე სურათებს წავაწყდით სხვა საამქროებშიც და დავრწმუნდით, რომ მძლეოსნობის სექციები ყველა საამქროსა და განყოფილებაში უმოქმედობს, რის გამო მთელი სიმძიმე ცენტრალურ სექციას აწვება. სამწუხაროდ, ნდობას ვერც ცენტრალური სექცია ამართლებს. სექციას სათავეში უდგას ერთი კაცი — ფიზკულტურის ინსტრუქტორი და მძლეოსნობის შტატიანი მწვრთნელი ვ. ასანიძე. იგი 12 ქალსა და 9 ვაჟს ამეცადინებს.

სექციის სამუშაო გეგმით მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქვე, კომბინატის ბაზებზე ტარდება, მაგრამ დასწრების აღრიცხვის ჟურნალმა დაადასტურა, რომ ვარჯიშებს სპორტსმენები რეგულარულად არ ესწრებიან. ხშირად კი სექტორებზე მხოლოდ 2-3 სპორტსმენი გროვდება. უხეიროა სექტორებიც, სიგრძესა და სიმაღლეზე სახტომი ორმოებით კი დიდი ხანია არავის უსარგებლია.

კომბინატში „სპორტის დედოფლისადმი" უპატივცემლობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შარშან მთელი წლის განმავლობაში აქაური ათლეტები ადგილობრივი, საქალაქო და რესპუბლიკური ხასიათის მხოლოდ 8 შეჯიბრებაში გამოსვლით დაკმაყოფილებულან.

შარშან კომბინატის ფიზკულტურელთა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. მძლეოსნობის სტარტზე 919 ათლეტი გამოვიდა. ეს სასიხარულოა, მაგრამ გვაღონებს მონაწილეთა ტექნიკური მაჩვენებლების დაბალი დონე. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. 100 მეტრზე ქალთა რბენაში გამარჯვებულმა ტ. არეშინამ მხოლოდ 16,8 აჩვენა. სხვა ძირითადი მასა კი ამ მანძილის გარბენას საშუალოდ 18-18,5 წამს ანდომებდა. გ. ბუჩუკურმა მოიგო ქალთა ხელყუმბარის ტყორცნა — 30,07, სხვა 60 მონაწილის საშუალო შედეგი კი მხოლოდ 20 მეტრია. ბადროს ტყორცნაში 72 ქალი ცდიდა ძალას. კომბინატის ჩემპიონი გახდა ზ. ჟიჟილაშვილი — 23,50. დანარჩენების საშუალო მაჩვენებელი 16 მეტრს უდრიდა. ბირთვის კვრა მოიგო ი. კუზნეცოვამ (9,12). დანარჩენი 74 მონაწილის საშუალო მაჩვენებელმა 6 მეტრს ძლივს მიაღწია.

ქალებს ამ მხრივ არც ვაჟები ჩამორჩნენ. ე. ჩიქოვანმა 170 სმ სიმაღლე გადალახა და პირველობაც დაისაკუთრა. ამ სახეობაში მოასპარეზე დანარჩენი 79 ათლეტის საშუალო შედეგია 140 სანტიმეტრი. ანალოგიური სურათი იყო ბადროს ტყორცნასა და სხვა სახეობებში.

ამ სამარცხვინო შედეგების ახსნა ბევრმა ისეთი გაუმართლებელი საბუთით სცადა, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, ასპარეზობაში ყოველდღიური ტანსაცმლით გამოდიოდითო (!).

ანალოგიური მოვლენები წელსაც განმეორდა. აღნიშნულს დავუმატებთ, იმასაც, რომ თანდათან იკლო ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვმა. თუ შარშან საგაზაფხულო მძლეოსნურ კროსში 835 ათლეტი მონაწილეობდა, საშემოდგომო კროსის სტარტზე 734 მძლეოსანი გამოვიდა. წლეულს აპრილში ჩატარებულ კროსში კი მონაწილეობა მიიღო... 125 ფეიქარმა. და მაინც, მასობრიობა თითქოს არის. უხადია, ერთი მწვრთნელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებს მძლეოსანთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, ეს უნდა გაეთვალისწინებინა თვით ასანიძეს, ამაზე უნდა დაფიქრებულიყო სპორტკლუბის ხელმძღვანელობა და მწვრთნელის დასახმარებლად საერთო ძალით დაერაზმა ის 39 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, რომლებიც ამ საპატიო წოდებას ატარებენ.

მუშაობის ამგვარად დაყენების გამო, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მძლეოსნები უსუსურად გამოდიან საქალაქო შეჯიბრებებში, მცირდება თანრიგოსანთა მომზადების რიცხვიც. მაგალითად, თუ შარშან აქ 9 მეორეთანრიგოსანი და 16 მესამეთანრიგოსანი მომზადდა, წლეულს ჯერჯერობით მხოლოდ 4-მა სპორტსმენმა შეასრულა III თანრიგის ნორმა. წლის ბოლომდე ხომ მცირე დროა დარჩენილი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელმა სხდომამ, რომელმაც ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის საკითხებზე იმსჯელა, აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ბევრ კოლექტივში შეიმჩნევა სპორტის ცალმხრივი განვითარება. ფიზკულტურული საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რეკორდების გაუმჯობესებას, ჩემპიონების აღზრდას და ავიწყდებათ, რომ სპორტსმენთა ვიწრო ჯგუფზე დაყრდნობით ფონს ვერ გავლენ.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში (სპორტკლუბი „ფეიქარი") კი არც რეკორდების ზრდისთვის იწუხებენ თავს. თუ კომბინატის რეკორდების ცხრილს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ აქ რამდენიმე კარგი შედეგია, მაგრამ უმეტესობა იმდენად დაბალია, რომ სათანრიგო მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. მაგალითად, 800 მეტრზე ვაჟთა რბენაში კომბინატის რეკორდია 2.32,1 (!). უფრო სამწუხარო ფაქტსაც წავაწყდით. აქ კარგახანია არავის უზრუნია რეკორდების ცხრილის გადახალისებისთვის. ასე, რომ არ იყოს, ცხრილში წლეულს მაინც შეიტანდნენ შარშან ბირთვის კვრასა და 3 კილომეტრზე რბენაში ნაჩვენებ შედეგებს, რომლებიც ბევრად აღემატება ძველ მიღწევებს.

მძლეოსნობის ჩამორჩენის მიზეზია სპორტისა და განსაკუთრებით, მძლეოსნობის პროპაგანდის დაბალი დონე. აქ ერთხელაც არავის მოგონებია შეჯიბრებათა ამსახველი ფოტოსტენდის მოწყობა, კედლის გაზეთებში მწვრთნელების ან სპორტსმენების წერილების მოთავსება.

სპორტკლუბ „ფეიქარში" მეტი უნდა იზრუნონ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის. ეს სახეობა ხომ სპორტის ყველა დანარჩენი სახეობის საფუძველია. იგი ყველა კომპლექსური ასპარეზობის პროგრამაში შედის და, რაც მთავარია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სსრ კავშირის ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადაში. თუ კომბინატში საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადამდე დარჩენილ დროს ნაყოფიერად არ გამოიყენებენ და მუშაობას არ გარდაქმნიან, საქალაქო სპარტაკიადაში უეჭველად სუსტად გამოვლენ, რაც რესპუბლიკური სპარტაკიადის მიღმა დარჩენას ნიშნავს. „ფეიქარში" მძლეოსნობის განვითარებისთვის ურიგო არ იქნებოდა სულ ცოტა 3-4 ცენტრალური ჯგუფის შექმნა (ვფიქრობთ, ესეც მცირეა 4000-იანი კოლექტივისთვის). პროფკავშირულმა ორგანიზაციამ სპორტკლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გამონახოს მძლეოსანთა წახალისების ფორმები და საშუალებანი. ფიზკულტურულმა საბჭომ კი უფრო ხშირად ჩაატაროს შეჯიბრებანი, აღადგინოს ე. წ. „მტყორცნელის დღე", „მხტომელის დღე", „სპრინტერის დღე". წესრიგში მოიყვანოს სპორტული ბაზები.

როცა კომბინატიდან გამოვდიოდით, თვალი მოვკარით ტრანსპარანტს: „გახსოვდეს, კომბინატის ერთი წუთით მოცდენა 351 მანეთის ზარალს იძლევა!" და ვიფიქრე: რას შეადგენდა ფიზკულტურული მუშაობის ერთი წუთით მოცდენის ზარალი?

ვ. ბუკია.

---

## [illegible]

### გულრიფში

გულრიფშის რაიონის დრანდის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა ბარნათის მთაზე მოაწყეს ორდღიანი ლაშქრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა უფროსი პიონერხელმძღვანელი ზ. თოდუა. აღსაზრდელებმა ეს ღონისძიება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიუძღვნეს. ლაშქრობაში მონაწილეობდა 50 აღსაზრდელი.

შ. ჯალაღონია.

### სოხუმი

დამთავრდა აფხაზეთის პირველობა წყალბურთში. შეჯიბრება ჩატარდა წრიული სისტემით. ყველა შეხვედრა მოიგო და I ადგილი დაიკავა სოხუმის „დინამომ". მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" წყალბურთელები.

შ. ჯალაღანიძე.

### ხაშური

გაიმართა ხაშურის რკინიგზის კვანძის პირველობა ველოსპორტში. 25-კილომეტრიან დისტანციაზე I ადგილი დაიკავა გ. ნოზაძემ.

ზ. მოსეშვილი.

### თბილისი

ჩატარდა № 1 სკოლა-ინტერნატის შიდასაკოლექტივო შეჯიბრება კალათბურთში. კარგად გამოვიდნენ მეათეკლასელი სპორტსმენები, რომლებმაც დაამარცხეს VIII კლასის წარმომადგენლები — 32:28.

შ. ბასილაია.

### თერჯოლა

ახლახან აქ გაიმართა რაიონის ფიზკულტურულ - კომკავშირული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა ალკკ თერჯოლის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ზანკალიანმა. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ფიზკულტურულ მუშაობაში მოპოვებულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად არის ნაკლიც. ასე მაგალითად, რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში არა აქვთ სპორტული მოედნები, ხოლო იქ, სადაც აქვთ, მოუვლელია.

ლ. ჯიჯიაშვილი.

---

## ს. ჩეჩელიანი თუ გ. მაჭავარიანი

თბილისის უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ასპარეზობის 8 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

გ. მაჭავარიანმა 3 პარტია ითამაშა. მან მოუგო მ. თხელიძეს და ყაიმით დაკმაყოფილდა ს. მეგრელიშვილსა და ს. ჩეჩელიანთან. მ. თხელიძემ დაამარცხა ე. უბილავა და დაზავდა ს. მეგრელიშვილთან. ე. უბილავამ გაიმარჯვა ლ. კერნოჟიცკისთან, ხოლო ეს უკანასკნელი ყაიმზე შეუთანხმდა ა. კირვალიძეს.

IX ტურში საერთო ინტერესი გამოიწვია ლიდერების მ. თხელიძე — ს. ჩეჩელიანისა და თ. ელიოზიშვილ — გ. მაჭავარიანის მატჩებმა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ს. ჩეჩელიანმა და გ. მაჭავარიანმა. დანარჩენ შეხვედრებში გ. ციხელაშვილმა მოუგო ლ. კერნოჟიცკის. ყაიმით დამთავრდა შ. მიქაძე — ე. მიქაელიანის და ე. უბილავა — ქ. არნშტეინის ორთაბრძოლები. 1 პარტია გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ს. ჩეჩელიანს 7 ქულა აქვს, გ. მაჭავარიანს — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია.

---

ჭადრაკი, შაში

## პირველი ჩემპიონატი

საქართველოს შაშის ფედერაციამ ამას წინათ დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის მოშაშეთა ჩემპიონატი მიწერ-მოწერით თამაშში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტის ოსტატი თ. ბარამიძე, ოსტატობის კანდიდატები თ. ბარამიძე, გ. ჩატუღიდი, ს. საგიევი, ვ. ნინუა, ი. სპესივცევი, ჯ. კარმაზიანი (ყველანი — თბილისი), გ. ბარამიძე, გ. არუთინოვი (ორივენი — სოხუმი), ვ. გობოზოვი, ზ. კოკოევი (ორივენი — ცხინვალი), ს. მოძღვრიშვილი (ქუთაისი), ა. ტოჩენოვი (ბათუმი), საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის ი. ტყაბლაძე (ქუთაისი) და სხვ.

უკვე არის პირველი შედეგები და მოულოდნელობანი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ოსტატი თ. ბარამიძე დამარცხდა ჯ. კარმაზიანთან, ხოლო ი. ტყაბლაძემ წააგო ვ. გობოზოვთან.

ჩემპიონატში I ადგილზე გამოსული მოშაშე მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის V ჩემპიონატის ფინალში (მიწერ-მოწერით თამაშში), რომელიც გისად მარტში დაიწყება.

ვ. სერგიაშვილი.



ფინიშის სწორზე

ფოტო ვ. გეწვიურისა.

---

# მოვითხოვთ!

ვანის რაიონის სოფელმა ზეინდარმა ბოლო წლებში სახე იცვალა. იგი ერთ-ერთი მოწინავეა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ, მაგრამ წლების მანძილზე სოფელი ჩამორჩებოდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში. ამჟამად კი აქ არის ახლადაგებული, კეთილმოწყობილი ფეხბურთის ორი სტადიონი, ხელბურთის 2, კალათბურთის 2 და ფრენბურთის 3 მოედანი. სკოლებში დამატებით გაკეთდა მძლეოსნური სექტორები. ერთი სიტყვით, კმაყოფილი არიან აქაური ახალგაზრდები. ამ სოფელში შემავალ შუაგორის საშუალო სკოლას კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. აქ აღიზარდა 3 სპორტის ოსტატი, წელს კი შუაგორელმა მოსწავლეებმა იზეიმეს სკოლის ახალ შენობაში შესვლა. მათს განკარგულებაშია სპორტული მოედნები, მაგრამ მოსწავლეთა გულისტკივილი სამართლიანია, როცა იმას საყვედურობენ, რომ არ აქვთ სპორტდარბაზი. და ეს იმ დროს, როცა ტექნიკური დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყო, მაგრამ სპორტდარბაზის მშენებლობა რატომღაც გეგმიდან ამოაგდეს. შუაგორელები სამართლიანად მოითხოვენ სპორტდარბაზის მშენებლობის დაწყებას.

გ. ლილუაშვილი,
ვანის რაიონის შუაგორის საშუალო სკოლის დირექტორი.

### სკოლამ დარბაზი მიიღო

ზესტაფონის პირველ საშუალო სკოლას წლების მანძილზე არ გააჩნდა სპორტდარბაზი. და აი, წელს სკოლის შენობას მიუშენეს სპორტული დარბაზი და ბავშვებს საშუალება მიეცათ ნორმალურად იმეცადინონ ფიზკულტურაში.

ა. ბანუზრავა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი I ჯგუფი

**გათამაშების ცხრილი**

**სათადარიგო შემადგენლობანი**

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 29 | 17 | 6 | 6 | 55—32 | 40 |
| „დინამო" (თბილისი) | 28 | 13 | 10 | 5 | 42—29 | 36 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 29 | 11 | 13 | 5 | 37—27 | 35 |
| „დინამო" (მინსკი) | 29 | 13 | 9 | 7 | 39—31 | 35 |
| „არარატი" (ერევანი) | 28 | 10 | 11 | 7 | 44—35 | 31 |
| ცსკა | 26 | 11 | 9 | 6 | 29—25 | 31 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 28 | 10 | 10 | 8 | 37—36 | 30 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 29 | 10 | 10 | 9 | 29—31 | 30 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 28 | 10 | 9 | 9 | 37—34 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 28 | 9 | 10 | 9 | 34—33 | 28 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 29 | 11 | 4 | 14 | 32—37 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 28 | 9 | 8 | 11 | 31—39 | 26 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 27 | 6 | 12 | 9 | 32—30 | 24 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 28 | 7 | 10 | 11 | 31—33 | 24 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 6 | 11 | 9 | 30—34 | 23 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 28 | 6 | 11 | 11 | 26—39 | 23 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 29 | 7 | 8 | 14 | 35—46 | 22 |
| ასკ (ოდესა) | 27 | 5 | 10 | 12 | 18—30 | 20 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 6 | 3 | 15 | 24—41 | 15 |

### „ა" კლასი II ჯგუფი

# 1:0

ბათუმი. 6 ოქტომბერი. „დინამოს" სტადიონი.

„დინამო" (ბათუმი) — „თერგი" (გროზნო) 1:0 (1:0).

**ბათუმი:** კვაჩაძე, გიორგიადი, ჯოხაძე, დიმანოვი, კიზირია, ვერულიძე, ონიანი, კონიაშვილი (როგავა), ილურიძე, ქიქავა, შაფათავა.

**გროზნო:** კოზლოვი, კოჩერგინი, ვ. კაიუშნიკოვი, რიეენკოვი, ა. კაიუშნიკოვი, სალკოვი, ვირიპაევი, ჩუბახინი (კოსოვი), მიხეევი, უერდევი, შაულოვი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:1 გროზნოელთა სასარგებლოდ.

თამაშის დასაწყისი მიმდინარეობდა ცენტრის დაპყრობისთვის ბრძოლაში. თითქმის 20 წუთის მანძილზე გუნდებმა ვერ მონახეს კარისაკენ მიმავალი გზები. შემდეგ ბათუმელები მიხვდნენ, რომ ცენტრიდან გარღვევა ძნელია და ფლანგებიდან დაიწყეს შეტევები. ამან წარმატება მოუტანა მასპინძლებს. 25-ე წუთზე ქიქავა გავიდა მარცხენა ფლანგიდან, იმ დროს დაარტყა კარში, როცა მეკარემ უკვე დატოვა იგი. მაგრამ დარტყმა ძლიერი არ იყო და კოზლოვმა მოასწრო კარში ჩადგომა და ბურთის მოგერიება. ბურთი ისევ ქიქავას დაუბრუნდა. მან გადააწოდა შაფათავას და ანგარიშიც გაიხსნა. ამ ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა თამაშის ბედი, თუმცა გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა ორივე მხარეს. გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 1:0.

ვ. მოსეშვილი.

## „ლოკომოტივის" ფრე

გუშინწინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩები. სტავროპოლში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ლოკომოტივი" და ადგილობრივი „დინამო". მიუხედავად იმისა, რომ გუნდებს სატურნირო ცხრილში სხვადასხვა ადგილები უკავიათ (აღნიშნულ მატჩამდე „ლოკომოტივი" VI ადგილზე იმყოფებოდა, „დინამო" კი — XIII) შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 1:1. მეორე ეშელონის ფეხბურთელთა ასპარეზობაში, როგორც წესი, მასპინძლები იმარჯვებენ, ამიტომ მეტოქის მოედანზე ფრე უდავოდ საპატიო მაჩვენებელია.

### „ბ" კლასი IV ზონა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 34 | 21 | 8 | 5 | 77—34 | 50 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 35 | 19 | 7 | 9 | 49—32 | 45 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 35 | 18 | 8 | 9 | 59—30 | 44 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 35 | 17 | 7 | 11 | 59—37 | 41 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 35 | 15 | 11 | 9 | 50—32 | 41 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 35 | 16 | 8 | 11 | 33—25 | 39 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 35 | 15 | 8 | 12 | 35—33 | 38 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 35 | 16 | 6 | 13 | 44—40 | 38 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 35 | 12 | 12 | 11 | 32—36 | 36 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 35 | 11 | 13 | 11 | 40—36 | 35 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 35 | 14 | 6 | 15 | 59—39 | 34 |
| „დილა" (გორი) | 35 | 13 | 8 | 14 | 31—38 | 34 |
| „დინამო" (სოხუმი) | 34 | 12 | 9 | 13 | 42—39 | 33 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 35 | 13 | 7 | 15 | 44—48 | 33 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 35 | 14 | 4 | 17 | 42—51 | 32 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 35 | 7 | 15 | 13 | 33—49 | 29 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 36 | 10 | 8 | 18 | 44—58 | 28 |
| „არაქსი" (ერევანი) | 36 | 10 | 6 | 20 | 30—54 | 26 |
| „ურალანი" (ელისტა) | 35 | 6 | 10 | 19 | 27—75 | 22 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 35 | 8 | 5 | 22 | 37—81 | 21 |

*4 ოქტომბერს გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდების კალენდარული შეხვედრები. აი, შედეგებიც: „არაქსი" (ერევანი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 1:2, „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „უროჟაი" (კრიმსკი) 4:1, „დინამო" (მახაჩყალა) — „ უროჟაი" (მაიკოპი) 1:1, „უროჟაი" (დერბენტი) — „ურალანი" (ელისტა) 2:0.*



## ფავორიტები ერთმანეთს ხვდებიან

გუშინ, ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში დაიწყო სსრ კავშირის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ყაზახეთის დედაქალაქში გამოდიან უმსუბუქესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები.

კენჭისყრამ პირველსავე წრეში ერთმანეთს შეახვედრა ქვემძიმე წონაში გამარჯვების მთავარი ფავორიტები: თბილისელი ლომიძე და ალმა-ათელი აიხანოვი. დაძაბული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

მოგვყავს პირველ წრეში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მიერ ნაჩვენები შედეგები: სალარაძემ დაამარცხა გოგოლაძე, ქავთარაშვილმა — შკოლნიკოვი (უკრაინა), ალიბეგაშვილმა — ალბარიანი (სომხეთი), ქარსაულიძემ — ყვარელაშვილი. პირველი შეხვედრა მოიგო შეყრილაძემაც.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება.

## პირველი სტარტები

**ერევანი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ადგილობრივ ტრეკზე დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ველოსპორტში. მოგვყავს პირველი შეხვედრების შედეგები:

**500 მ გიტი სვლით (ჭაბუკები).** 1. ვ. ნიკიფოროვი (ტულა) — 30,2.

**500 მ გიტი ადგილიდან (ჭაბუკები).** 1. ბ. პეტროვი (ტულა) — 33,9.

**სპრინტი (ქალები).** 1. ვ. სავინა (რსფსრ), 2. თ. ლუნევა (ყაზახეთი).

**ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით.** 1. ვ. სტარჩენკო (ყირგიზეთი).

**გიტი 1 კმ (ჭაბუკები).** 1. ვ. ნიკიფოროვი — 1.11,4.

**გიტი 1 კმ (ვაჟები).** 1. ი. ცელოვანიკოვი (უკრაინა)—1.09,0, 2. ა. აგაპოვი (რსფსრ) — 1.09,2.

## ოქროს მედლები ე. გელერის გუნდს

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა მოჭადრაკეების გუნდური პირველობა.

ორკვირიანი ბრძოლა დასრულდა შეიარაღებულ ძალთა გუნდის (ვაჟები — გელერი, ვასიუკოვი, გუფელდი, ლიბერზონი, ჟელიანდინოვი, შმიტი, სათადარიგო — სავონი; ჭაბუკები — ვიტოლინში, კირპიჩნიკოვი, ბილუნოვი; ქალები — ზვორიკინა, სკეგინა, ფოკინა) გამარჯვებით. გუნდმა 80,5 ქულა მოაგროვა 120-დან და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

II ადგილი (80 ქულა) და ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს „ტრუდის" მოჭადრაკეებმა (ვაჟები — ბოტვინიკი, კორჩნოი, ავერბახი, კროგიუსი, ლეინი, ონოსი, სათადარიგო — შამკოვიჩი, ჭაბუკები — ბალაშოვი, ტიმოშჩენკო, გელერი; ქალები — კუშნირი, ვოლპერტი, კისლოვა).

III ადგილსა (79 ქულა) და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ „სპარტაკის" მოჭადრაკეები, რომლებმაც პირველობის დასკვნით დღეს „ტრუდს" მოუგეს — 7:5. „სპარტაკში" თამაშობდნენ: ვაჟები — პეტროსიანი, სუეტინი, ხოლმოვი, ბანიკი, ჟიდკოვი, იუხტმანი, სათადარიგო — სიმაგინი; ჭაბუკები — პოდგაეცი, დვორეცკი, შვარცი; ქალები — ე. რუბცოვა, ტარასოვა, ვაპნიჩნაია.

დიდი ინტერესი გამოიწვია I დაფების ტურნირმა. აი, მისი შედეგიც: I. მ. ბოტვინიკი („ტრუდი") — 6 ქულა 9-დან, II. ე. გელერი (შეიარაღებული ძალები) — 6,5 ქულა 10-დან, III-IV. ტ. პეტროსიანი („სპარტაკი"), მ. ტალი („დაუგავა") — 6-6 ქულა 10-დან, V. ვ. სმისლოვი („ბურევესტნიკი") — 5,5 ქულა 10-დან, VI. პ. კერესი („კალევი") — 5 ქულა 10-დან, VII-VIII. ბ. სპასკი („ლოკომოტივი"); ლ. შტეინი („ავანგარდი") — 4,5-4,5 ქულა 10-დან.

აღსანიშნავია, რომ მ. ბოტვინიკი შესანიშნავი სტარტის (6 ქულა 7-დან) შემდეგ დასკვნით ორ შეხვედრაში დამარცხდა ტ. პეტროსიანსა და მ. ტალთან.

ქალთა I დაფაზე გაიმარჯვა საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბორისენკომ („ლოკომოტივი") — 7 ქულა 10-დან, II-III ადგილები გაიყვეს ა. კუშნირმა („ტრუდი") და ე. რუბცოვამ („სპარტაკი") — 6,5-6,5.

უნდა აღინიშნოს, რომ გუნდური პირველობა ჩვენი ოლიმპიური ნაკრებისთვის — ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ვ. კორჩნოი, სათადარიგონი — ლ. შტეინი, ლ. პოლუგაევსკი — საუცხოო წვრთნას წარმოადგენდა. ათი დღის შემდეგ ჩვენი მოჭადრაკეები კუბას გაემგზავრებიან XVII საჭადრაკო ოლიმპიადაზე.





ამას წინათ თბილისში, კუსტბის მიდამოებში გაიმართა საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური საშემოდგომო კროსი. ასპარეზობის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო ის, რომ თავისი გუნდის ინტერესებისთვის 5.000 მეტრზე რბენის სტარტზე გამოვიდა ი. დელა-როსა („განთიადი"), რომელიც წინდღით ლენინაკანში, სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ოლიმპიური გუნდების მატჩში 50 კმ სპორტულ სიარულში მონაწილეობდა და გამარჯვებაც დაისაკუთრა. დელა-როსა კროსში დიდხანს ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ბოლო წრეზე ოდნავ ჩამორჩა და III ადგილი დაიკავა.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — შეჯიბრების მომენტი. ტრასაზე არიან 1000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები. შუაში — 500 მეტრზე ქალთა რბენაში გამარჯვებული ვ. თეთრაძე. ქვევით — ი. დელა-როსა ფინიშთან.

ფოტო ო. გელაშვილისა.

## რეკორდების წვიმა

**კიევი** (ტელეფონით). ტყვიის მსროლელთა აქ მიმდინარე საკავშირო საუწყებო ჩემპიონატზე, რომელშიც „დინამოს", დოსაავისა და საბჭოთა არმიის გუნდები მონაწილეობენ, რეკორდების ნამდვილი წვიმაა. პირველსავე დღეს დოსაავის ათლეტებმა მ. ნიაზოვმა, ი. კუდრიაშოვმა, ვ. კომლევმა და ლ. ქდანოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში (60 გასროლით) 2373 ქულა მოაგროვეს და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარეს.

იდეალურმა ამინდმა მაღალი შედეგების ჩვენებას მეორე დღესაც შეუწყო ხელი. სროლა ისევ მცირეკალიბრიანი შაშხანით ხწარმოებდა, მაგრამ ამჯერად, სტანდარტზე (3×40). დოსაავლებმა თავი არც აქ შეირცხვინეს. წოლელა სროლაში გუნდმა 1584 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. მაგრამ, როცა შეჯიბრებას მორჩნენ არმიელები, მათ 5 ქულით უკეთესი შედეგი (1589) აღმოაჩნდათ და რეკორდმაც მათ ხელში გადაინაცვლა.

პირად პირველობაში სამმა — ლ. ლოუსტბერგმა, ე. იაროშმა და ვ. პახომოვიჩმა (ყველანი — საბჭოთა არმია) ერთნაირი შედეგი — 398 ქულა (400-დან) აჩვენეს. ახალი წესით ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მას, ვისაც უკეთესი შედეგი აქვს ბოლო სერიაში. ამიტომ ადგილებიც აღნიშნული თანმიმდევრობით განაწილდა.

ჩოქელა სროლაში გაიმარჯვა ვ. პახომოვიჩმა (395 ქულა), არმიელთა გუნდმა კი ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი (1563 ქულა) დაამყარა. დგომელა სროლა მოიგო დინამოელმა ა. გერასიმენოკმა — 380 ქულა. გუნდურშიც „დინამომ" გაიმარჯვა — 1477 ქულა. სამი მდგომარეობის ჯამში ჩემპიონი გახდა ა. გერასიმენოკი — 1164 ქულა (ესეც სსრ კავშირის ახალი რეკორდია). ამ ვარჯიშში მეორე რეკორდს ისევ არმიელები დაეპატრონნენ, ამჯერად, სამი სახეობის ჯამში — 4628 ქულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანა საბრძოლო ხეჩისმიერმა შაშხანამ შეცვალა, მაგრამ გერასიმენოკი ამ იარაღითაც შესანიშნავად ისროდა. სტანდარტზე (3×40) მან 1158 ქულა მოაგროვა და კიდევ ერთი საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა.

ვაჟებს არც ქალები ჩამორჩნენ. არმიელმა სპორტსმენებმა ა. ბოიკომ, ვ. ზახარჩენკომ და ტ. ლოშჩევამ მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში სსრ კავშირის რეკორდი—(1713 ქ.) დაამყარა.

# ბიპი ლაპარაკობს სპორტზე

გაიგო თუ არა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის პ. კარამიშევის ვიზიტის მიზეზი, ფრანგმა მსახიობმა მარსელ მარსომ შეხვედრისთანავე თქვა: უკვე მივეჩვიე და არ მაკვირვებს ჩემდამი სპორტული ჟურნალისტების ინტერესი.

— თუ კი მხატვრული ტანვარჯიში, ფიგურული სრიალი და აკრობატიკა ძალზე ახლოა ხელოვნებასთან, — განაგრძო საუბარი მარსომ, — პანტომიმის ხელოვნებაც ხომ მჭიდროდაა დაკავშირებული სპორტთან. როცა ვხვდები სპორტულ ჟურნალისტებსა და სპორტსმენებს, ყოველთვის ვნახულობ მათთან საუბრის საერთო თემას.

ბიპის მომხიბვლელი სახის შემქმნელი რომ არ ცდება, ამას მოწმობს მასთან საუბრის ქვემოთ მოყვანილი ჩანაწერი.

● **გიტაცებდათ თუ არა პატივცემულო მარსო, სპორტის რომელიმე სახეობა?**

— ერთბაშად ორი. ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში ვთამაშობდი ფეხბურთს პარიზის ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდში. ყოველთვის მხიბლავდა მარცხენა გარემარბის ადგილი. მომწონდა მოქმედების თავისუფლება, ფართო მასშტაბით თამაში. მაშინდელ ფეხბურთში მცველები პირველ ყოვლისა, დაკავებული იყვნენ ცენტრალური თავდამსხმელების „დაჭერით". მე კი თავისუფალი მოქმედების საშუალება მქონდა. შემდეგ გამიტაცა ფარიკაობამ. დიდი სიამოვნებით გავდიოდი მეტოქეებთან საბრძოლველად საფარიკაო ბილიკზე. შემდგომში ესპადრონით ფარიკაობა გახდა ჩემი საყვარელი სახეობა, რომლისთვისაც დღემდე არ მიღალატნია. თავისუფალ დროს ვცდილობ მოვხვდე საფარიკაო დარბაზში. ამას მარტო ჩემს სამშობლოში კი არა, საზღვარგარეთ, გასტროლების დროსაც ვაკეთებ. ვფიქრობ, არც ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს არ ჰყოლია იმდენი ცნობილი მწვრთნელი, როგორც მე. მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. ეს დიდ დროს წაგვართმევდა.

● **როგორც პანტომიმის მსახიობს, გეხმარებათ თუ არა სპორტის ცოდნა?**

— ჩემს რეპერტუარში არის რამდენიმე წმინდა სპორტული ნომერი, და არც ისე ცოტა, რომელიც დაკავშირებულია სპორტთან. მაგალითად, „1500 მეტრზე რბენა". ვფიქრობ, მიშელ ჟაზის არც კი შეუმჩნევია, როცა ერთ დროს ძალზე ხშირად ვესწრებოდი მის გამოსვლას, ვაკვირდებოდი სახელგანთქმული სპორტსმენის რბენის ტექნიკას. ან კიდევ „ბიპი ციგურებზე სრიალებს". სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები მარწმუნებდნენ, რომ ძალზე კარგად შემისწავლია მოციგურის ტექნიკა. თუ ეს ასეა, სხვა კომპლიმენტი არ მჭირდება. შემდეგ ნომერი „მოხეტიალე აკრობატი". აქ ვასრულებ სხვადასხვა მოძრაობას, რომელიც აღებული მაქვს ტანვარჯიშიდან და აკრობატიკიდან.

სპორტული მომზადება ძალზე მეხმარება წარმატებით გავართვა თავი ჩემი პროფესიის სირთულეს. გამოსვლების პროგრამა ყოველთვის ძალზე მჭიდროა და თავისუფალი დროის დიდ ნაწილს [illegible] ბას ვუთმობ და მაინც 43 წლის მარსო, როგორც თქვენ ნახეთ, სცენაზე ყოველთვის ხალისიანი და ძალღონით სავსეა.

● **ესწრებით თუ არა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს?**

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ დავესწრო. კონცერტებსა და გასტროლებს დიდი დრო მიაქვს. მაგრამ მე მაინც თავისუფალ საათებში სტადიონის ხშირი სტუმარი ვარ, ხანდახან გვიან ღამემდე ვზივარ ტელევიზორის ეკრანთან. განსაკუთრებით ბევრი დრო წამართვა ფეხბურთელთა უკანასკნელმა მსოფლიო ჩემპიონატმა. დიდი მღელვარება მომიტანა მოფარიკავეთა მოსკოვის მსოფლიო პირველობამ. გავიგე, რომ იგი შესანიშნავად იყო ორგანიზებული გაზეთების საშუალებით ვეცნობოდი მოსკოვის საფარიკაო ბილიკებზე ბრძოლების მიმდინარეობას. ვფიქრობ, ჩემი თანამემამულეები ცუდად არ გამოსულან. კლოდ ბერნარმა მოსკოველები მოხიბლა არა მარტო გარეგნული სილამაზით, არამედ სპორტული ოსტატობითაც. ასე თუ ისე გვაწყენინა მანიანმა. ობიექტური უნდა ვიყოთ. კლოდმა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე გზა დაუთმო ღირსეულ მეტოქეს. მჯერა, მომავალში ჩემი თანამემამულე აჩვენებს თავის ძალას.

● **საბჭოთა სპორტსმენებიდან ვინ იმსახურებს თქვენს სიმპათიას?**

— გასაგებია. პირველ რიგში მომწონს ის, რომელიც უხეშ ძალას კი არ ავლენს, არამედ მსუბუქად, მოხდენილად გამოდის სარბიელზე. ამიტომ ძალზე მომწონს თქვენი ბრუმელი. ვსარგებლობ შემთხვევით, მინდა გადავცე მას ჩემი ყველაზე გულთბილი სურვილები.

თავის მოქმედებაში ძალზე ჭკვიანი და ვაჟკაცურია იაშინი. ვთვლი, რომ სისწრაფეში, მხტომელობაში იაშინს ბევრი შესაფერი მეტოქე ჰყავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ შეედრება მას სიდინჯეში და თავის მცველებზე ზემოქმედებაში. ტაშკენტში გასტროლებზე ყოფნის დროს ტელეეკრანზე ვნახე იაშინის თამაში მსოფლიო ჩემპიონატზე. ერთს ვიტყვი: მისდამი გამოთქმული ყველა ხოტბა, დამსახურებულია.

● **რას იტყვით საბჭოთა მაყურებელზე?**

— ყველაზე მეტად მანცვიფრებს მათი სიჭაბუკე. დიახ, სიჭაბუკე. არც ერთ სხვა ქვეყანაში ჩემს კონცერტებს არ ესწრებოდა იმდენი ახალგაზრდობა, როგორც მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქში. დარწმუნებული ვარ, პანტომიმის ხელოვნება თქვენთან ჩქარა მიაღწევს უმაღლეს მწვერვალს, ისეთს, რომელსაც დაესაკუთრნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, ბალეტის განსაცვიფრებელი ოსტატები.

## გადამწყვეტი მატჩების წინ

კ ლ უ ჟ ი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს რუმინეთის გუნდი, პრაქტიკულად გაინაღდეს ევროპის ჩემპიონის წოდებისთვის შემდგომი ბრძოლის უფლება. მაგრამ ეს წარმატება, სხვა შეხვედრებისაგან განსხვავებით, მძიმე და მომქანცველი ბრძოლის შემდეგ მოვიდა. „საკუთარმა კედლებმა" რუმინელებს დიდი სამსახური გაუწია. ისინი თამაშობდნენ თავგანწირულად და უბრძოლველად არ თმობდნენ არც ერთ ქულას. მატჩის შედეგია — 76:65 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

ბოლო თამაში ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებს პოლონელებთან ჰქონდა. ანგარიშით 68:60 გაიმარჯვეს ჩვენებმა.

სიბიუს ჯგუფში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრას. ჩეხოსლოვაკიელებმა გაიმარჯვეს — 65:55.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: პოლონეთი — ჰოლანდია 76:50, გდრ — იუგოსლავია 88:74, საფრანგეთი — გფრ 48:39.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ დაიწყება ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები.

◆ ა ს ტ რ ა ხ ა ნ ი, 7 ოქტომბერი. აქ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობს სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა 22 გუნდი, რომელთა შემადგენლობაში არიან მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის 15 ჩემპიონი.

**ერევანი, 7 ოქტომბერი. სსრ კავშირის თასზე ველოსპორტში დღეს ახალი საკავშირო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ი. კირიჩენკო (ხარკოვი). მან 500 მეტრზე ადგილიდან აჩვენა 37 წამი**

◆ **ლენინგრადი, 7 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებთან აქ 2 შეხვედრა გამართა გდრ-ის ეროვნულმა გუნდმა. I მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 9:6, II — სტუმრებმა — 8:7.

ფეხბურთი

## ევროპის...

### ... ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

გასულ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩები.

● ტურნირის შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა შოტლანდიის ჩემპიონმა — „სელტიკმა". შვეიცარიის „ციურიხთან" ორი მატჩის შედეგია 5:0 „სელტიკის" სასარგებლოდ.

● ამსტერდამის „აიაქსმა" თავის მოედანზე მოუგო სტამბულის „ბეშიქთაშს" — 2:1. ორი მატჩის შემდეგ ანგარიშია 4:1 „აიაქსის" სასარგებლოდ.

● საფრანგეთის „ნანტმა" დაამარცხა „რეიკიავიკი" (ისლანდია) — 5:2. ორი მატჩის ჯამში უპირატესობა „ნანტს" აქვს — 8:4.

### ... ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

● როტერდამის „სპარტამ" საკუთარ მოედანზე დაამარცხა მალტის „ფლორიანი" — 6:0. ამ გუნდების პირველი მატჩის შედეგია — 1:1.

● მერვედფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა შვეიცარიის „სერვეტმა", რომელმაც 1 ბურთის სხვაობით (2:1) მოუგო ფინეთის „კამრატერნს".

● წარმატებით ითამაშა ლუქსემბურგში ირლანდიის „შემროკ როვერსმა". მან დაამარცხა ადგილობრივი „სპორტი" — 4:1. საინტერესოა, რომ ირლანდიელებმა პირველი მატჩიც ასეთი ანგარიშით მოიგეს.

● ტურნირს გამოეთიშა იტალიის „ფიორენტინა". მართალია პირველი მატჩი ქალაქ დიერის „ვაშაშს" (უნგრეთი) მან მოუგო 1:0, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში დამარცხდა — 2:4.

● ძლიერად თამაშობს ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი". მან „მშრალი" ანგარიშით (4:0) დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი „გლენტორანი".

## „პრემიერა" წარმატებით ჩატარდა

**სტოკჰოლმი, 6 ოქტომბერი.** „რასუნდას" სტადიონზე შვეციის ახალმა ნაკრებმა (ჟურნალისტები მას ახალგაზრდულს უწოდებენ, რადგან გუნდის შემადგენლობაში მართლაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა შეყვანილი) პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა. მისი მეტოქე იყო ავსტრიის ეროვნული ნაკრები. მატჩმა, რომელსაც ტელევიზიითაც გადასცემდნენ, 20 ათასი მაყურებელი შეკრიბა. ასეთი ციფრი შვეციის სტადიონებისთვის სარეკორდოა.

შვეციელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს 4:1. მატჩს სჯიდნენ საბჭოთა არბიტრები ანძაულაძე, ბახრამოვი და არხიპოვი.



პროფესიული კრივის სამი ვარსკვლავი: მოჰამედ ალი, ჯო ლუისი და კარლ მილდენბერგერი. მოჰამედ ალი პროფესიონალური რინგის აღიარებული „მეფეა". სპეციალისტების აზრით, დღეს მისი მომრევი არავინ არის. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო ამას წინათ ჩატარებულმა მატჩმა მოჰამედ ალისა და გერმანელ კარლ მილდენბერგერს შორის. რომელშიც ამერიკელი ზანგის უპირატესობა ცხადზე ცხადი იყო. ჯო ლუისის აღიარებით (იგი ესწრებოდა ამ ბრძოლას), მილდენბერგერმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია მსოფლიო ჩემპიონობამდე. ლუისი არ კარგავს იმედს, რომ გერმანელი მოკრივე ოდესმე გახდება უმაღლესი ტიტულის მფლობელი.

ფოტო ჟურნალ „სტადიონიდან" (ჩეხოსლოვაკია).



ველოსიპედისტთა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე, რომელიც გფრ-ში გაიმართა, თავი ისახელა ფრანგულმა დუეტმა დ. მორელონმა და პ. ტრანტენმა. მორელონი გახდა მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში, ხოლო ტრანტენი — გიტში. შემდეგ ორივემ ერთად სცადეს ძალები ტანდემებით რბოლაში და არც აქ უღალატეს ტრადიციას — I ადგილი დიდი უპირატესობით მოიგეს. ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ „ოქროს წყვილს" დ. მორელონსა და პ. ტრანტენს. ამბობენ, მსოფლიო ჩემპიონები პროფესიონალებში აპირებენ გადასვლას.

ფოტო ჟურნალ „სტადიონიდან" (ჩეხოსლოვაკია).

## კომპასითა და აზიმუტით

ფისკარსში (ფინეთი) გაიმართა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ადგილის ორიენტირებაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ინგლისის, შვეიცარიის, ფინეთის, შვეციის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების 100-მდე საუკეთესო მოგზაური. ტურნირი 2 დღეს გაგრძელდა პირველად გაიმართა შეჯიბრება ინდივიდუალურ რბოლაში 14,1 კილომეტრზე, რომელზეც 11 საკონტროლო პუნქტი იყო განლაგებული. ნორვეგიელმა სტუდენტმა ო. ჰადლერმა აღნიშნული მანძილის გავლას 1:36.02 მოანდომა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. II იყო ა. ტოპსელი (ფინეთი) — 1:38.47. შვეციის ჩემპიონმა ა. მორელიუსმა აჩვენა 1:40.05 და „ბრინჯაოს" დასჯერდა.

ქალები 6,6-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. აქ ყველას აჯობა უ. ლინდკვისტმა (შვეცია) — 52.45,0. „ვერცხლი" მოიპოვა კ. ნილსენმა (შვეიცარია) — 1:00.30, „ბრინჯაო" — რ. ჰოვიმ (ფინეთი) — 1:00.51.

მეორე დღეს გაიმართა ესტაფეტა 34,8 კილომეტრზე. აქ ჩემპიონი გახდა შვეციის კვარტეტი — 3:11.42, ფინელებმა წააგეს 8 წუთით. III პრიზიორის — ნორვეგიის გუნდის დროა 4:26.35. ამ კოლექტივის მარცხი განაპირობა მსოფლიო ჩემპიონ ჰადლერის მიერ გზის აბნევამ. ქალთა ესტაფეტა (15 კმ) მოიგო შვედების „ტრიომ" — 2:42.58.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი.** ქალაქის იპოდრომი. **9 ოქტომბერი.** პროგრამაშია: ქართული ეროვნული ცხენოსნური თამაშობანი (ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი), დოღი, ჩორთმავალი (ცხენების რბოლა და სხვ., საცირკო ხელოვნების ოსტატთა გამოსვლები. თამარ მეფის ლაშქრობის ინსცენირება რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობებისა და ცხენოსნების მონაწილეობით. დაწესებულია შოთა რუსთაველის სახელობის ჯილდოები დოღში, რბოლაში, ცხენბურთში, ისინდში და ყაბახში გამარჯვებულთათვის. დასაწყისი 12 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. **9 ოქტომბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მინსკი).** დასაწყისი 16 ს. დანომრილი ფასიანი აბონემენტები ამ მატჩზე გაუქმებულია.

**სასტენდო სროლა.** „მონკავშირის" სასროლეთი (ვაკე). **8-9 ოქტომბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 8 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 12812